



სალიტერატურო და საპენსიონრო ნახაბებიანი ზაზითი. ზაგოდის ყოველ კვირა დღეს.

№ 28.

ივლისი 3, 1894 წ.

№ 28.

შინაარსი: ვინ არს. დანაშაუ - ჩხოყენლისა. — სეუოდღეობა ამჟამს. — მოგონება აკაისა. — კრიტიკა. — პასუხი ქრონიკების პატრონს თ. ურდანიას გ. წერეთლისა. — ჭრელი ფურები აკაისა. — პასუხი გრ. უფ. შიშის მიხა ცხაკაიასა. — სიზმარი, ლექსი თ. რაზაკაშვილისა. — ცხაკაიას ტხოვრება ზღვაოცხეთა უფსკრულში ი. აღმაზრცილისა. — ფანჯი, მოთხრობა თარხანისა. — ქუთაისის ბანკს და გერძო განხედებანი

### ვინარი დამნაშავე?

**ყ**ველამ იცის ზე დარწმუნებულთა, რომ ხალხის ბედნიერება ზე კეთილ დღეობა თუ სრულეობით არა, ძალიან ბევრათ მიინც; დამოკიდებულთა სარწმუნოებაზე ზე ზნეობაზე, ხალხი, რომელიც აღიარებს მაღალ, ღვთაებრივ სარწმუნოებას, რომელსაც შეუთვის-შეუხორცებია ამ სარწმუნოების განმასპეტაკებელი ზე გონება-სულის აშამალღებელი შინაარსი, რომელსაც თავისი საოჯახო ზე საზოგადო ცხოვრება მოუწყ-მოუმართნია სიკეთით საესე სარწმუნოების ზნეობრივი სწავლა-მოძღვრების შესაფერად, ეს ხალხი, ვამბობთ, ბედნიერია ყველაფერში. ამგვარი საზოგადოების წევრნი არიან ერთმეტად მხნე-გამრჯერი, შეგნებულ-განვითარებულნი ზე გამჭირაბ-გულადნი; ამ გვარი საზოგადოების ოჯახნი დედა სიყვარულისა, სათნოებისა, წვერთა ერთმანეთის თანხმობისა, სიბრალულისა და მრავალთა სხვათა სიკეთეთა. ხოლო სამძიმო ზე შესაზარი სანახვია სარწმუნოებას ზე კეთილ ზნეობას მოკლებული ხალხის ყოფა-ცხოვრება. ასეთ ხალს აღარც ხალხობა ეთქმის, ამ გვარი საზოგადოება წაავგეს უფრო კოდი-

ან მხეტია გროვას, ანუ თავზე ხელ აღებულ ავაზაკთა ბრბოს...ღიღლ სარწმუნოება ზე ზნეობა შეადგენენ ხალხის კეთილდღეობის სიმკვიდრეს!

ეს არის მიზეზი, რომ ყველა შეგნებულ ერთა მწერლობას განსაკუთრებითი ყურადღება ჰქონია ზე აქეს კიდც დღევანდლამდე მიქცეული ხალხის სარწმუნოებრივ ცხოვრებაზე. ამის გამოა, რომ ყოველგან ზე ყოველთვის გონიერ მწერლობას თვალი უდევნებია ერის ზნეობის მიმდინარეობისათვის ზე როდესაც შეუმჩნევია ხალხში სარწმუნოებრივი, ან ზნეობრივი ყვევა-ძევა, ზიანი, მციროდენი რამ სამწუხარო ცელიღება, დაუყოვნებლივ აუნიშნავს შეცლიმიღება, განუკიცხავს ხალხის ურიგო მიმართულება ზე უხმარია მრავალ გვარი ღონისძიება დაცემული ერის ასადგენათ, იმის ბედნიერებისა ზე სიკეთის გზაზე დასაყენებლათ.

ჩვენდა სასიამოვნოთ, არც ქართულ მწერლობას აქეს დაეწყებული ეს მაღალი ზე საღმრთო მოვალეობა რიგიანი მწერლობის; ქართულ ჟურნალ-გაზეთებს ჯეროვანი ყურადღება აქეთ დღეს მიქცეული ხალხის ზნეობაზე ზე სარწმუნოებაზე; იშვიათია ახლა ჩვენში დროებითი გამოკცმა, რომელშიაც არ მოიპოებოდეს წერილი, ან შენიშვნა აღნიშნული საგნების შესახებ.

ქართული ჟურნალ-გაზეთების შეხედულობით ჩვენს ერის აწინდელი სარწმუნოებრივი ზნეობრივი მდგომარეობა არა სანატრელი ზნეობრივია. ყველა წერილებში, რომლებიც დაიბეჭდა ზნეობრივად დღევანდლამდე შესახებ სარწმუნოებისა ზნეობისა, გატარებულია ერთგვარი საჩივარი ზნეობისა: ხალხი არ დაიარება ეკლესიაში, აღარ სწამს კვირათქმე, გულ გრილი გახდა ქრისტიანობაზე, დაეცა ზნეობრივად დაწერილმა ზნეობით, მთლად მოკლებულია სარწმუნოებით, იმის პატივსაცემად ზნეობრივად ვაჭირებაში ხელ მისატანებელ პირებათ გამხდარან მკითხველ ქადაგი, მარჩიელ-ჯადოსანი ზნეობრივად სხ. ზნეობრივად სხ. ამ გვარ საჩივრებს გაიგონებთ ქართლშიაქვეთშიაქ, იმერეთშიაქ, გურია-სამეგრელოშიაქ, ერთი სიტყვით ჩვენს ქვეყნის ყოველ კუთხეში ზნეობრივად, არც უსაბუთოა ეს მოთქმა.

მაგრამ ყველა მოვლენას აქვს თავისი მიზეზი; შეუძლებელი ზნეობრივად წარმოუდგენელია შედეგი უმიზეზოდ; ცხადია, ჩვენ ზნეობით დაქვეითებას ზნეობრივად მუშაობით დამკვირვებლად მოკლება თავისი მიზეზი, თავისი არსებობის საბუთი.

რა არსებობთა მიზეზმა გამოიწვია, ვიკითხოთ ჩვენს, ქართველობაში სარწმუნოებრივი დაუღვერობა ზნეობრივი დამკვირვება?

ორი, სრულებით სხვა-და-სხვა; ერთმანეთის წინააღმდეგი აზრია გამოთქმული აღნიშნული კითხვის საპასუხოად.

პირველი აზრის მიმდევარი სარწმუნოების დამკვირვებას, სარწმუნოებრივ დაუღვერობასა ზნეობრივად გულკითხვას, ხალხის ზნეობით დაეცემს ზნეობრივად მიწვევას აწინდელ სამღვდლოებას. ახლანდელმა ღვთაებათა არ იცანო, ამბობენ, რიგანათ ქართული საღმრთო წერილი, ვერ ასრულებნო სიმტკიცით ზნეობრივად მღვდელ-მოქმედებათა, მოკლებულნი არიანა ღმობიერებაზე ზნეობრივად მომყვანელ სა-

ეკლესია გალობის ცოდნას, მამაშვილური სწავლა-მიძღვრება, განიერული მხილება ზნეობრივად სრულებით მოსახსო მათ ეკლესიებში ზნეობრივად არისო მთავარი მიზეზი, რომ ხალხის გულს აღარ იზიდავს წირვა-ლოცვისკენ, და, კვირათქმე დღეს, ნაცვლად წირვაზე წასვლისა, მიეჭრება სამიკრონებში, სადაც ღვთა-არაყის სმით ირთმევს სულს. მღვდელმა არ იცისო თავისი სამწყსოს ენა, არა ახლობს რაო მის ერთან ზნეობრივად გამო არც უკანასკნელი ელტვისო მას; ხალხის ნდობა, სიყვარული და სიმამრთა მიუპყრით მკითხველთა ზნეობრივად მარჩიელთა, ამათ დაუქვითათ კანონიერი მღვდლები ალაკი ზნეობრივად ერის მიძღვრებათ ზნეობრივად მწყვესებათა.

ამ გვარი აზრი არა ერთხელ გამოთქმულია გვრთ „ვიცრიაში“ და ვერცხვით შეხედულობა გატარებული მ. ბუჩაძის წერილში, რომელიც დაბეჭდილია ჟურნალ „კვალის“ ამ წლის მეთერთმეტე ნომერში.

სამღვდლოებათა, ამტკიცებენ მეორე აზრის მიმდევარი, განიერებით და ზნეობრივად დავსო შესაფერ სიმალეზე, საკმარისად განსწავლულია ყველა საქორა საგნებში და სინიდიისორათა ასრულებს თავის სამძიმო მოვალეობასო; ხოლო, თუ ხალხი მიუხედავად ამისა გულგრილია სარწმუნოებაზე ზნეობრივად დაეცა, ეს უნდა დაბრალებს თითონ ხალხსავე, იმის სულიერ მიმართულებას ზნეობრივად მისწრაფებას; მაინცა ზნეობრივად თუ ერის ზნეობრივად დამკვირვებაში ვისმე სურს რამე დანაშაული დასდოს სამღვდლოებას, დანაშაულად უნდა ჩაითვალოს უსწავლულობის მღვდლები ზნეობრივად არას გზით სემენარიაში კურს დამთავრებულნიო. ამ გვარი შინაარსის წერილი დაბეჭდა „მარწმუნოების“ წლის „სასულიერო მოამბის“ მეცხრამეტე ნომერში სემონიანთხების მღვდელმა ა. გულისაშვილმა. ეინა მართალი ზნეობრივად ვინ მტყუანი? ვინ აუტრუა ქართველ ხალხს გული სარწმუნოებაზე, სათნოებაზე ზნეობრივად ღვთის სიყვარულზე?

ჩხოველი

(შემდეგი ქება)

### საყურადღებო ამბები



მღვდელმა გაზეთებმა მოგიტანეს შესაძრწუნებელი ამბავი, რომ ქალაქ ოდესსათან ბათუმში დანაშაული ცეცხლის გემი „ელადიმერი“ დაღუპულა. თურმე ბურის გამო შეეზღვა არა იხედებოდა

რადამს დღევანა იტალიის ცეცხლის გემი „კალუმბია“ „ელადიმერი“ ერთი საათის განმავლობაში ზღვამ ჩაძირა. ცეცხლის გემზე ყოფილა ას ორმოცდა ათი მგზავრი ზნეობრივად ორმოცი მგზავე. ამბობენ ასამდის გარდარჩევილანი, დანარჩენნი დაღუპულან. „კავკასიის“ ნავი ბეგრნი ყოფილან ამ გემზე. ვერ ვერობით შევითქვით, რომ ჩვენებურთაგანი დაღუპულან ქართველი

ანა ყორღანაშვილისა, ბაკოელი ვაჭრის ტერენტი-  
ვის ცალი, შულცი, შუშელი მდიდარი ვაჭარი ტუ-  
მაიანი, რომელსც თავისი საკუთარი გემები ღ წე-  
თის წარმოება ჰქონია ბაკოში. ამასთანავე დიდი სა-  
ქონელი დალუპულა და აგრეთვე რუსეთს გაგზავნილი  
ფორტაც.

\* \*

„იერიის“ № 138-ში არის დაბეჭდილი შესა-  
ნიშნავი სტატია ი. სიმ — ძისა. აზრი ამ სტატიისა არის  
შემდეგი: ჩვენს ინტელიგენცია, ანუ ესრედ წოდებუ-  
ლი განათლებული თობა, მეტად წერილობას საქმეს  
კიდებს ზნელსა, მხოლოდ პირადი სარგებლობით  
ხელმძღვანელობს და საქვეყნო საქმე კი ავიწყდებათ.  
როდესაც ჩვენს ერს უმაღლეს ხემწიფობისა და კა-  
ნონის მიერ მინიჭებული უფლება ერთმევა ადგილო-  
ბრებად განწყობული წერილებობის წყალობით, კაცი  
არ არის ჩვენში ამ გარემოებას მიაქციოს ყურადღე-  
ბათ. „თუ ადამიანი, ან ხალხი სიტყვა ამოუღებელი  
ქედ-მოდრეკით ემორჩილება დაბალი დობის ბედსა,  
რომელიც მისთვის მიუსაკუთრებია, წინააღმდეგ კა-  
ნონისა და ხელმწიფის სურვილისა, წერილ-ფუნას,  
ეს მისი უტყუარი საბუთია, რომ მონაობა, ყურმოჭ-  
რილი ყმობა, უღირსობა შეპარვია საზოგადოების  
სულსა და გულსაო“. ეს ხდება მაშინ, როდესაც  
კანონი გვაძლევს ნებას, დავიცვათ ჩვენი ერის არსე-  
ბითი უფლებებიცა, უმაღლეს მთავრობას შეეატყო-  
ბინით ერის შევიწროებული მდგომარეობა და რუ-  
სეთის გახეტებში გამაჯადუყნოთ, რაც უსამართლო-  
ბა ჩვენს თავს არის, წინააღმდეგ კანონისა და ხელ-  
მწიფის სურვილისაო.

ამის პასუხად ჩვენ მოვასხენებთ ბ-ნ სიმ — ძეს  
შემდეგს: „მოდღარო პირველ თვით განიცადე მოძ-  
ღერება ევე შენი“. თვით ბ-ნ სიმ — ძე და ის გახვით,  
რომლის ფურცელზედაც ბ-ნ სიმ — ძე, ასეთი მჭევრ-  
მეჭკველებით დალადებს ასეთ შევნიერ აზრებსა რა-  
ტომ საქმით არ შეუღლებიან მათი ნათქვამის ასრუ-  
ლებას. სამშობლოს სამხსენებლობის წინაშე ყოველმა  
შურმა, მტრობამ და ერთმანეთში უთანხმოებამ ქელი  
უნდა მოიხაროს, ყველანი უნდა შევერთოდეთ აქ და  
მივცეთ ხელი ერთმანეთს. ვისაც თავისი გავლენით  
და საზოგადოებრივი მნიშვნელობით ყველაზე უფრო  
ეხერხება მეთაურობა, ის წავეიდღვს წინ და ჩვენ  
თუ არ მივეცეთ, მაშინ დავეკმოს. ჩვენ კიდევ უკე-  
თეს მოვასხენებთ. საქართველოს ერს და მის ბედ-  
კრულს მდგომარეობას მართლაც ესპირობებიან ხმის  
ამომღებნი, რომ იმის შევიწროებულ მდგომარეობაზე  
საუუძელოანი სტატები იწერებოდეს სატახტო ქალაქის  
ქურხალ-გახეთებში, მაგრამ ამას უნდა ხარჯი. აბა, ინე-  
ბონ, ბ-ნო სიმ — ძე, იმათ, რომელნიც თქვენ ქართვე-

ლების ნამდვილ მეთაურად მიგაჩნიათ, ხმის ამოღება  
ამაზე, თუ საქრო ფულიც არ შეგროვდება ამის  
გულისთვის და უმაღლესს მთავრობასაც არ მი-  
წვდეს ჩვენი ვარამი. განა არ იყო ერთი და  
ორი შემთხვევა, რომ აქ კარხედაც მოგვად-  
გენ უმაღლესი მთავრობის წარმომადგენელნი სი-  
მართლის შესატყობათ, მაგრამ ვისაც უფრო ეკ-  
უთვნოდა მაშინ მოქმედობა, ისინი ოთახში  
შეიკეტენ.

\* \*

იმევე გახვთს მოსვლია ქალბატონ ვარ-  
დროპის მიერ ინგლისურს ენაზე გამოცემული ქარ-  
თული ზღაპრები, რომელზედაც თურქე ინგლისის  
მეცნიერებს დიდი ყურადღება მიუქცევიათ ღ ფიქ-  
რშიაც მისვლიათ საქართველოს რამდენიმე ათასი  
წლის კულტურის შესწავლა.

\* \*

გადის დრო და ჩვენს ხალხს თანდათან ემატე-  
ბა სიუზიონლე, გონიერება, და თანდათან იცებს  
რომ მის კეთილ-მდგომარეობისადმი მიმყენე-  
ლი მარტო სწავლა-განათლებაა. ამისათვის ის მის  
შესაძენად არაერთისა საშუალებას არ ზოგავს: ამა-  
რებს შეიღოს სკოლაში, თუ სოფელში და თუ ქა-  
ლაქში, რაც ღონე აქვს, ყვეა მას სწავლის დროს,  
თვითონ იკლებს და შეიღოს უზგანის, რომ მას მინც  
ვიღრისს განათლებულად ცხოვრება. უწინ რომ  
გლგხისთვის გეთქვათ: შეიღი სკოლაში მიეცია, გი-  
პასუხებდათ: აბა, ბატონო, რა ჩვენი საქმეა სწავლა.  
ჩვენ თოხისათვის ვართ დაბადებული და თოხის მუ-  
შაბაში უნდა დაიბოცოთო, და ეს ხელობა უნდა  
ეასწავლიათ ჩვენს შეიღებსაცო, სწავლა დიდი კა-  
ცების საქმეაო, (თუმცა ახლაც ბევრს შეხებდა კაცი  
სათვებს.)

ახლა უმეტესი ნაწილი გლგხებისა სხვა თვა-  
ლით უყურებს სწავლას. ხედავს საკუთარი თვალით  
კეთილათ და ბედნიერათ ცხოვრებს ის, ვინც ნასწა-  
ვლი და განათლებულია და ამისათვისაც არას ზო-  
გავს მის შესაძენათ; მაგრამ ხომ მოგხსენებთ ჩვენ-  
ში სამკალი ბეგრია, მხოლოდ მუშაკნი ცოტა; ვინაც  
რამე ისწავლა, მაღალი თუ საშუალი სასწავლებელი  
გათავა, სოფელს არ ეკარება, ქალაქში ცხოვრება ამ-  
ჯობინა! ამისათვის სოფელი რჩება გაუწათობებლის  
ხელში, მრჩეველი არაიენ ჰყავს: ამ მხრით ბე-  
ერი სარგებლობის მოტანა შეუძლია გონება-გაწე-  
თარებულ ნასწავლ მღვდელს, რადგან პირველი პირი  
ხალხში მღვდელია: პირში და ღონში სულ ისა ჰყავთ  
ვევრდით, ყოველს გაჭირების დროს მას მიმართა-



გენ, მას ეკითხებიან, თუ კარგად დაუტვირდება მღვდელი, მეტადრე ნასწავლი, ბევრს შეძენს სოფელს: შკოლას გახსნის და ასწავლის მათ, უქადაგებს და სხ. მაგრამ საუბედუროთ განიება-განეითარებული და შეგნებული ღვდელი ცოტაა. ავიღოთ მაგალითი: საყულის საზოგადოებას შეადგენს სამი დიდი სოფელი და არც ერთს სოფელში ერთი სამრევლო სკოლა არაა. შარზან კი საყულიაში გახსნეს სამინისტრო ერთ-კლასიანი სკოლა. ამას გარდა ამ სამ სოფელთაგან ერთში მაინც უნდა იყოს სამრევლო სკოლა. მაგრამ ეინა მოთა-

ვე. წელს მგონი ღმერთს შეეცვალათ, ახალი სემინარიელი მღვდლათ მოგვიყვია. იმედია, ახლა მაინც ელისება ჩვენს სოფელს ერთი სამრევლო სკოლა იმედია ახალგაზდა სემინარიელი მღვდელი პ. დლო არ დაიზოგავს თავს და უსკოლოთ არ დაეტყვეებს, ავიგებს ერთს კლასიან სკოლას მაინც და ხალხს გაავებინებს მის მწიფელობას: მაგრამ ამისთვის საჭიროა მისი დახელოვნება ქართულ საღვთო-წერილში და ქართულ ენაზე ქადაგებაში; ამასთანავე საჭიროა მის სიტყვას სამცქე მოღვედეს, ხალხის ქირი და ლხინი გაიზიაროს.

ს. ჯ.

### მ ო გ ო ნ ე ბ ა

(ფესთა ბანა)



ათენდა დიდი-ხუთშაბათი. ხან გამოშვებულმა ზარის რეკამ აუწყა ქუთაისელებს; მღვდელ-მთავარი ბძანდება დღეს მწირველიო. დიდი და პატარა ყველა მიეშურებოდა გორასაკენ, საიდანაც ბაგრატიის ტაძრის ნაშთები, მწუხარედ გადაჰყურებენ არე-მარეს. მის გვერდით, მერცხლის ბუდესავეთ მიდგმული და უგემურად ავებული, ახალი საყლარი მლოცველებით აიშრა: ტყეა რომ აღარსად იყო ვალანაიც ხალხით გაიქცა. — ზარების დახშობის შემდეგ რეკამ სადგურიდან გამოიწვია მღვდელ-მთავარი და ისიც გამობძანდა. აიპაზითა და სამელოსაცეხურით მიეგება კრებული, ორის მხრით მგალობლები წამოუძღვენ ეკლესიასაკენ. ერთს გუნდს იმერლები შეადგენდნენ: ოქროპირი კანდელაკი, გოგინა შათაძე და სინო კანდელაკი, მეორეს — სტუმარი გურულები: დათა გუგუნივა, ყარაპან თავდგირიძე და ანტონ დუმბაძე. კანდელაკური სადა გლობა იყო და გურული კი კრიმანჭული. ხალხი გაიტაცა მათმა გლობამ, მაგრამ ორ მხარედ კი გაიყო: ერთს გურულები უფრო მოწონდა და მეორეს კი იმერლები. ახალგაზნები უფრო გურულებისკენ იყვნენ.

— არა! — ამბობდნენ მოხუცებულები — სად კანდელაკური და სად გურული კრიმანჭული? მართალია, ესენი დაბერდნენ, ხმა დაუპატარავდათ და ისინი კი ახალგაზნები, ხმა-ძლიერი არიან და კილოზედაც ამბობენ, მაგრამ... მაგრამ მაინც სულ სხვა არის!

ღუშაძის ბანი ათს ჩაყლაპავს სინოს ბანისთან, მაგრამ სინო რომ დაუტყვერას და გადაჭედვად მოჰქედს ხმა-ტბილებით, იმას ევლარა შეედრება რა. მე მაშინ ვარჩევა არ შემქძლო და ორივეგუნდს

თანასწორად ყურს უგდებდი. მანამღი, ბევრი კარგი სიმღერა გამეგონა, მაგრამ იმ ვალობისთანა არა მსმენია რა! მეგონა, თუ ის ხმები მაღლა ციდან ჩამოდოდნენ, რომ დაბლა-ქვეყანა დაეტკბოთ. — შებძანდა მღვდელ-მთავარი ტაძარში და ჩამოჯდა ტახტზე, დიკუნებმა ღანგრებით მიართვეს შესამოსელი. ორი მთავარ-დაიკანი წადგა წინ საცეცხურის კმეით? — ერთი დაიძახებდა: „უფლისა მიმართ ვილოკო!“ — და მეორე. არხი-დაიკანი ჯანელიძე. გრგვინად შესწმით: „შეგი მახელი შენი, წელთა შენთა ძლიერი, შეგინერებთა შენითა!“ — ო და სხვანი...

შემიოსა მღვდელ-მთავარი. — დაიწყა წირვა და ჩვეულებრივად გათავდა. თუ იმ დღის ლიტანიობის პირველი საფეხური მგალობლები იყვნენ, გვრგვინეც ჯანელიძის კითხვა იყო, იმ დროში მისთანა არხი-დაიკანი საქართველოში არსად მოიპოებოდა: მისი, ბრძმელში გატარებული მემინაევი ხმა და მწერ-ტბილი კილო, სახარების კითხვის დროს, ყველას ერთნაირად ჰზილოდდა. — შეუდგენდნენ ფესთა ბანას: გამოვიდნენ საყურთხელიდან მღვდლები ჩამოჯდნენ, ჩამოვე მწკრივენ მწყობრად და გაიხადეს ფეხს; მათი სახის გამომეტყველება ამტკიცებდა, რომ ისინი საღმრთო გულის თქმით იყვენ გამსჭვალული და მოკიქულუბად თავი ემკრებოდათ. მივიდა მათთან მღვდელ-მთავარი და სიმდაბლით მოეყარა მუხლი მათ წინ.

ეკლესიაში საოცარი სიჩუმე იყო, მლოცველების გულის ბგერაც ისმოდა. გამოიტანა ჯანელიძემ სახარება და გადაშალა საკანანახოდ. დაიწყა. ხმა უთროვდა, თითქო ცრემლებსა ჰყოლაპასუროს. თითოეულ სიტყვას ვალობით ამბობდა რაღაც ამწკროლის კილოთა, „და მიღო წყალი იგი და დასხნა საბანელსა მას!“ თქვა და ხალხს ქრიანტელმა დაუარა. მღვდელ-მთავარმა დასრულა კანანახი. „და დაიწყა ბანად ფესთა და წარბოცდა არდავითა მათ!“ განაგრძო მკე-




ნანახემ. ესეც შესაჩუღო დაღმებულ-მოძღვრის მოადგილემ. ჯერი მიღვა ჰქვარებზე, რომელსაც სვიმონ არხიმანდრიტი ადგენდა. მისი სახე სწორედ წმინდა მოწამის სახეს. მოაკონებდა კაცს. როდესაც შემკრთალი, შემინებელი წამოადგა და ვითარცა უღირსმა უჩინობით ჰკითხა ათროლეულის ხმით: „უფალო, შენ დამბანა?“ ხალხმა მეტი ვეღარ აიტანა და საქალბოდან მოისმა უეცარი ქეითინი!.. ქალები ტროოდენ!.. კაცები კი გაქვავებულსაგით იდგენ და ვაფითრებულ ლოყებზე ცრემლები დაბალუბით ჩამოდიოდათ. მეც გული ამოიჭრდა: მამამ მომიკიდა ხელი და გამომიყვანა გარეთ.—მღვდელ-მთავარმა აკურთხა ერი და ისიც ნელ-ნელა დაიშალა, წაივდ წამოვიდენ თავ-თავის სახლისაკენ. — ყველა მოხაზბული იყო, ყველა გამსქვალული. თვალ წინ დიდებული სახე ჩატებოდათ, და ყურში ჯანელიძის ხმა ჰქონდათ ჩაჩივნილი.

მას აქეთ ბეგერი რამ მინახავს. ბეგერი-ხმა-ტუბილი და ხმა შეწყობილი რამ გამიგონია, მაგრამ, რაც მაშინ ვიგრძენი მისი მსგავსი არა მინახავს რა. დიდი ხანი არ არის, რაც ერთხელ კიდე დავესწარი ფეხთ-ბანას, მაგრამ ყოლიფერი მესხვაფერა. ვალომა

მეუტხოვა: ყურს ესმოდა მაგრამ გულში კი ვერ ხედებოდა. სახარების მკითხველი უტხოვგვარად ბობლინობდა და კილოც სხვა გვარი ჰქონდა. მიმოვინებდე და რა შევინუნე? ხალხი, თითქმის იძულებული გრძობობით იყო გატაცებული და არა სასოებით გამსქვალული.—მომავონდა ის ძველი, სიყმაწვილის ამავეი და ცრემლები გადმომცინდა!..

ნუ თუ საკუთრად ჩემი ბრალია, რომ გრძობა დამჩლუნეგებია და გული ვეღარ ნეტარობს? გვეითხებოდი თავს და პასუხს არავინ მაძლევდა. მხოლოდ ამ მოკლე ხანში შემთხვევით გაეფიგონე კარგარეთელის სახარების კითხვა და უნებურად შევეკრთი, გული ამითამაშდა!.. მისმა კილომ, მომავონა ჯანელიძის კილო, თუმცა ასე როგორც აჩქილომა ნამდვილი მომავონა და კიდეც მივხვდი, რომ მეტყუელების კილოში ყოფილა იმისთანა ძალა, რომელიც არც სხვისი ენით გამოითქმის და არც კალმით აიწერება!.. იმისი მხოლოდ გრძობა შეიძლება და ვიი, იმ ხალხს რომელსაც ის გრძობის საუნჯე, ის კილო დეკარგება!..

აგაჟ



### კ რ ი ტ ი კ ა

#### ბასუნი ქრონიკების ბაგრონის თ. ყორდანისა



ხირებული საბაასო ჩეულებმა შემოიღეს „ივერიის“ პუბლიცისტებმა. იმათ პოლემიკურ სტატიებს რომ ეკითხებოდით, ყოველთვის ვაგვასწენდებოდა „ივერიაშივე“ დასტამებული გუგულისა და ბულოფულის ვაჯიბრება. გუგულმა ერთი ჰანგის მეტი არ იცოდაო, ისიც „უფალო შემწყვალეო“ და რომ ვაბამდა ამ „უფალო შემწყვალეს“, მის დაუსრულებელს „უფალო შემწყვალეს“ საშველი არ ქონდაო.

მართლაც, გამოგვეკამათება თუ არა ერთი ენაზე პუბლიცისტი „ივერიის“ ფურცლებზე, ვაბამს ძახილს „მანია გრანდიოზა“, „მანია გრანდიოზაო“; ამას წაბამეს ბ-ნ თ. ყორდანია და იმავე ჰანგზე მორთავს ჰეიტინს: „მანია გრანდიოზა“, „მანია გრანდიოზაო“; ასე ჰგონიათ, ოღონდ „მანია გრანდიოზა“ კი იჭყეიტონონ, მორჩა და მოისვენა, მოპირდაპირე დამარცხებულად მიაჩნიათ და თვითონ მძღვევლად მოაქეთ თავი. ამ „მანია გრანდიოზას“ ისინი, რასაკვირველია,

ლათინური ასოებითაც დაასტამენინებენ ხოლმე; ესეც ალბათ თავის გასამართლებელ უტყუარ საბუთად მიანჩნიათ. ერთა გვეთხოთ ბ-ნ თ. ყორდანისა, რა მნიშვნელობა აქვს მის თვალში სხვიდან თუთიყუშვიით ვაღმოდებულს და კატკაქვიით ვაგვპირებულს „მანია გრანდიოზას“ რომ იძახის? თუ ისა, რომ ჩვენ ვითომც უღიდეს კაცებად მიგვანდეს ჩვენი თავი, რაკი იდღ მვისტორიის თ. ყორდანისა პოლემიკა ვაგუბეღეთ, მაშინ ხომ ეს სენი—„მანია გრანდიოზა“—ჩვენ კი არ გვეკირებია, თვით ბ-ნ თ. ყორდანია ყოფილა ამით შეგყრობილი. ამის დასამტკიცებლათ შორის არ წავალოთ. თუნდ მოვიყვანოთ უშგერი ტრაბახობა თვით ბ-ნ თ. ყორდანისა „ივერის“ №111: „დამ. ბაქრაძე ვერ აცილებდებოდა ვახუშტ-ბრასოსეს ქრონოლოგიას და ცნობებს და იმეორებს იმათსავე შეცდომებს და ნახტომებსო (დავიშენ და ზრდილობა), რომელიც ჩვენს „ქრონიკებში“ სრულიად და საბოლოოდ გამტყუნებელია და გამოარკვეულიო“. მოდი და ნუ გაგვიკინებთ! თ. ყორდანიათ ვაგამტყუნა და ვაპროუყველა გამოკლევანი დღმ. ბაქრაძისა, ვახუშტისა და ბროსსესი. ვანა ასეთი „შულოვარი მვიდღურობა და აღვირ-წახსნილი ტრაბახობა „მანია გრანდიოზა“ არ არის?

„ეს ხომ ყველასთვის დღესავე ცხადია—განაგრძობს მედიტორობით ბ-ნი თ. ჟორდანიანი—რომ ჩემს ქრონიკებში მრავალი ახალი ისტორიული და ქრონოლოგიური ცნობები არისო შეტანილი, რომელიც არ იბრუნება არც პლ. იოსელიანის ნაწერებში, არც დიმ. ბაქრაძის აქვს და არც ეახუშტისო“. ასეთ ბაქრაძის შემდეგ სადამდის უნდა ავიდეს მისი „მანია გრანდოზობა“, ანუ „მალა განდიდებისა“?... განა ის კაცი დასაბმელი არ უნდა იყოს, რომელიც ასე უტფრად ეხება ყველა ჩვენს წინანდელს მისისტორიებს და ერთი კალმის მოსმით აქარწყლებს მათ გამოკვლევას, მათ ისტორიულ შრომას?

ყველას ახსოვს, როცა გამოვიდა ჟურნალი „კვალი“ და მე დავსტამებ თუ არა შიგ ბეგრატ V ლდის მონოგრაფია, ბ-ნ თ. ჟორდანიანი მაშინვე ყელში მომიწვდა და მისი ჩვეულებისამებრ კუს ძმობილსავე მივიჩნია, ალბათ იფიქრა, საქართველოში მის მეტი ისტორიკოსი და ბეჯითი მკვლევარი არც დაბადებულა და არც დიბადება. ვინ არის გ. წერეთელი? როგორ გაბედა მან, როგორ გავადნიერდა, რომ ჩემი ლოცვა-პურთბევის მიუღებლათ დასტამბა ისტორიული მონოგრაფიათა? ასეთ გაბრაზებას შემდეგ, ბ-ნ თ. ჟორდანიანი ამხედრდა ჩემ წინააღმდეგ „დიდგულის თოფით“. სხვათა შორის მან დიდის ამბით გვასწავა (იხ. ივერია № 9, 1893 წ.), რომ ქართველებს, თურმე, ჯერ კიდევ მესუთე საუკუნეში ქრისტეს შემდეგ უთარგმნათო საღვთო-წერილი არაბულ ენიდან და ამავე დროს მათ ქრისტეს საფლავთან დიდებული ლაჩრები გაუშენებიათო. ამაზე ჩვენ ისტორიული საბუთები მოვთხოვეთ, მაგრამ თ. ჟორდანიანი ხმა გაქმნდა. აბა, რას იტყვია, რაც არა ჰქონდარა დასტამბილი. დღეს მესამე კლასის ლემნაზის მოწამეც კი იცის, რომ არაბნი მხოლოდ მერვე საუკუნეში შეიქმნენ ძლიერი პოლიტიკური უფლებების მექანენი, ხოლო მათი მწიგნობრობა მარტო მეშვიდე საუკუნედან არსებობს. ისტორიით ვიცით, რომ ჯერ კიდევ მეექვსე საუკუნეში ქრისტეს სარწმუნოებაზე მოციქულს არაბებს ასწავლიდნენ ნესტორიელენი თვისი საკუთარი ანაზით წერა-კითხვასა\*). მერე კი ეს ანაზი არაბებმა თავისებურად გადააკეთეს მეშვიდე საუკუნეში, როცა საქართველმა ყოფილა (მამადის საღვთო-წერილის) შედგენა. მაშ მესუთე საუკუნეში არაბების, როგორც პოლიტიკურათ დამწიფებულის ერის ხსენება საიდანღა იქნებოდა, და ვინ იქნებოდა ასეთი უმეცარი, რომ წარმოედგინა იმ დროს

მათი მწიგნობრობა? ცხადი იყო, რომ ბ-ნ თ. ჟორდანიანი აქ გააპარა უშეგერი სიცრუე იმ იმედით, რომ ანგარიშს არაფერ მომთხოვსო. მაგრამ ამით კიდევ არ დამაყოფილდა. იმან გამოიჩინა საოცარი უმეცრული უკმრებლობა თავის „ქრონიკებს“ შესავალში (იხ. ქრონიკ. LVIII). ამ საგნის შესახებ მან წარმოთქვა „ივერიაში“ (№ 9, 1893 წ.) შემდეგი:

„399 წელს, როგორც საუკულისმთა—ბანეს ბ-ნი თ. ჟორდანიანი—აქ უკვე გადაურგმნათი სომეხეკვლავი სწულდა და სსახრება სოამ, რსახეკრეკვლავი, უწინაგ გადათარგმნა იქნებოდა...“ (არ ვიცით, საიდან, რომელი უტყუარი საბუთის ძალით ამტკიცებს ბ-ნი თ. ჟორდანიანი ამ თავის ფანტაზიას?)

მეორე ლაგას: „მეფის ვარსაპარის შვილი მეგრანოზი, ბერობაში ჰქრედ წოდებულად, იერუსალიმს დაქვედრდა 412—450 წლებში დიდ ხნობით და როგორც სსახრება (საიდან ჩანს? საბუთი ბ-ნ თ. ჟორდანიანი, უტყუარი ისტორიული საბუთია ამისთვის საქორთ, რომელიც ჯერ არ არის თქვენი ფანტაზიის მეტი) ვჯარას მონასტერს დაჰქნა ნახევარ საათის სსახრეკვლავი ქრთველესეკვლავი იშოკეს ნაწილიცა ქრისტეს საფლავისა და აქვე მოაღწეოდადნენ ადვოკატის მონასტერში.“

„ამ გოგოთის ადვოკატის და ვჯარას ქრთველესეკვლავის მონასტერში მიუგეს სკელი ჰართულსკეკვლავი და საღვთის მეტეკვლავი მწიგნობრობას“ (ნეტავ სად არის მეცნიერულად დაპუშვებული ამის ისტორიული საბუთი?)

„ამავე დროს (ესე იგი მებუთე საუკუნეში) მრავალი წიგნიც უთარგმნათი ქრთველესეკვლავი ენიდანა“ („ივერია“ № 9, 1893 წ.). მერე სად იყო მებუთე საუკუნეში არაბული, ან მისი ლიტერატურული ენა, ან მწიგნობრობა? აბა, ვის ატყუებთ ბ-ნი თ. ჟორდანიანი? მაგისთანა ლათინებით ახლა ხომ მესამე კლასის მოწამეც აღარ მოტყუებდა. მაგრამ ბ-ნი თ. ჟორდანიანი მაინც „ქრონიკებს“ შენიშნა (იხ. „ქრონიკები“ LVIII) ასე გაიძახის: აი, საბუთიცო; ბერძნის მწერალი მეოთხე საუკუნისა, რუფინი და მისი დამაწმენტი აგრეთვე სხვა ჩენნი დროის მწერლებიცა: ბროსეს, პ. იოსელიანი, თეიმურაზ ბატონიშვილი და მურათიევი მოწმობენო. ერთი ცუთხოთ ამ საკითრედს ცრუბუნტელა მისისტორიის, რომელ საუკუნეში იყო რუფინი?—განა რუფინი არ იყო თანამედროვე მირიან მეფის შვილის ბაკურიანისა და თვით მეფის მირიანისაც?—იგი ცხოვრებდა მეოთხე საუკუნეში ქრისტეს შემდეგ. მაშ რანაირად დაწერდა მებუთე საუკუნის ამბებს? წინასწარმეტყველი ხომ არ იყო, რომ ერთი საუკუნის წინდწინ დაეწერა ისტორიული ამბები, რომელიც ერთ საუკუნეში

\*) იხილეთ ხელსამდგენლო აღმოსავლეთის ისტორიის, ლენოშინი, ტომი II, გვერდი 98.

უფრო გვიან უნდა მომხდარიყო.

ასეთი განხილავს ისტორიული კვლევა ბ-ნ თ. ჟორდანიასი. უფრო შესანიშნავი აქ ის არის, რომ რუფინი სრულებით არ იხსენიებს არც ქართული წიგნების თარგმნას აზნაღვლე ენიდან, არც იერუსალიმში ქართული მონასტრების აშენებას, იმიტომ რომ მის დროს კვალიც არ უნდა ყოფილიყო ქართული მონასტრებისა. რუფინი მხოლოდ ამას ამბობს: წმიდა ნინოს მიერ ქართველთა ნათელდებულად მირიანის მოქცევა, მიაშვიტო იერუსალიმში იბერიის მეფემ ბაკურიუსმაო. ეს ბაკურიუსი მირიან მეფის შვილი უნდა იყოს, რომელიც ძველად ჰყავდა იმპერატორ კოსტანტინე დიდს თავის კარზე მეოთხე საუკუნეში. აი, ამ რუფინის ჩვენებაზე ამყარებენ პლ. იოსელიანი, ბროსესე, მურავიოვი, და თეიმურაზ ბატონიშვილი სულ სხვა ამბავს, ესე იგი ქართლის მოქცევას და არა ქართულ მონასტრების დაარსებას მხოლოდ საუკუნეში. ეს მეორე ცნობები იმათ მურვანოსისა, ანუ პეტრე მიტროპოლიტის მოწაფის ზაქარიას მოწმობით აქვთ შესწავლული; მაგრამ საქმე იმაშია, რომ ამ ზაქარიას ხელნაწერი დაკარგულია დღეს და არსად ჰქანს; ხოლო ვითამც მისგან მოთხრობილი ამბავი კი ასურულ ენაზეა დაწერილი შემდეგ საუკუნეებში და არა ქართულზე. და ეს კი ექვს ალექსანდრეს ამ დროის ქართული მწიგნობრობის დიდ განვითარებაზე. მართლაც რომ იმ დროს ქართული საღვთა-წერილი მდიდარი ყოფილიყო, ზაქარია ქართველ ასირიულ ენაზე რად დაწერდა მურვანოსზე და ქართულ მონასტრებზე თავის მოთხრობას?

ახლა გადავიდეთ იმერეთის მეფის ბაგრატ მე-სამის სახეზე, რომელიც ბ-ნ თ. ჟორდანიას აზრით უნდა იყოს დახატული გელათის ეკლესიის ღვთისმშობლის ხატზე. რამდენათ ესაბუთო იყო ეს მისი აზრებზე, საკმაოდ ერთკლად განუხილვე „კვლევის“ წარსული წლების ნომერებში \*). მიუიღო, წელიწად ნახევარი თ. ჟორდანიას ჩავარდნილი იყო თავის ქერქში და კრიანტი აღარ დაუძრავს; მაგრამ ამ სიტუაციაში ის კვლავ ამბობდა, რადგან, მისი სიტყვით, მას უბოძენია თავის გასამართლებელი ახალი ისტორიული საბუთი; ენახათ, რა საბუთია: „ამოღენსა დეაწლისთვის — ამბობს თ. ჟორდანიას — ბაგრატმა (იმერეთისაჲ, მესამედ ცნობილმა) მისი სახე გამოაზნაღვლენა ეკლესიისა ღვთისმშობლის ხატთან მუხლმოღრეკილად მედერებელი და შემდეგ თვით ტაძრის

ეკლესიებზე გამოსახეს მისი სურათიო“ („ივერია № 112“). ეს, ბ-ნო თ. ჟორდანიას, თქვენ საკუთარ აზრათ არის „ივერიაში“ წარმოთქმული. მაგრამ სამწუხაროთ ასეთი დასაბუთება ისტორია არ შეიწყნარებს, უნდა წარმოადგინოთ ნამდვილი წერილობითი საბუთი ბაგრატ მესამის დროისა, მეთექვსმეტე საუკუნეში დაწერილი. რატომ არ დასახატებთ, სად არის ეს საბუთი? თქვენ ბძანებთ, ჩემი ქრონიკების მეორე წიგნში იქნებაო. კეთილ-ინებოთ, ბ-ნო თ. ჟორდანიას, და გვიჩვენეთ ეს საბუთი. თუ მე არ მაჩვენებთ, მაშინ სრულებით დეკაყოფილდები, თუ მაგ საბუთს აჩვენებთ ექვსთივე თაფიშვილს, ზე. ჭკონას და გ. სასაგაისშვილს. უცუთო ისინი შეამაოწმებენ, რომ დოკუმენტი ნამდვილი მეთექვსმეტე საუკუნის იქნება და შიგ იქნება მოხსენებელი, რომ ბაგრატ III-მ თავისი სახე დაახატენა ეკლესიის ღვთისმშობლის ხატზეო, მაშინ მეც დაგოჯერებო. სანამდის ასეთი საბუთი არ გიჩვენებთ, ნება მიბოძეთ, არე გვიწმუნოთ. დასასრულ მოვიყვან მაგ საგანის შესახებ ჩემი მიერ წარმოთქმულს აზრს წარსული წლის „კვალი“ში“.

„როდესაც ბ-ნ თ. ჟორდანიას წარმოადგენს მეთქი — ასეთს უტყუარებს თანამედროულს წერილობითი საბუთი და მითი დამტკიცებს, რომ ეკლესიისა ღვთისმშობლის ხატზე დახატული მფეუ ბაგრატ III იმერეთისა არის და არა ბაგრატ V დიდი, მაშინ პირველი მე მოვიხირო თავს-მეთქი მის ცოდნის წინაშე“. არა გეგონია, რომ ამ სიტყვების მიქმელს ეტყობოდეს „მანია გრანდიოზობისა“, ანუ „განდილების მართი“ იყოს გამსჭვალული.

იტყვიან — ერთი ჭირი მარგებელიაო. ამ ჩემმა ბაჰსმა ბ-ნ თ. ჟორდანიასაც უნებურად ერთი მართალი წარმოათქმევინა — ის, რომ ავმანდაძის გუჯარი, რომელიც მე დამ. ბაქრაძეს გამოუტყუავე იმ პირობით, რომ „წერა-კითხვის“ საზოგადოებაში გადუქცა, ახლო ბ-ნ თ. ჟორდანიას მოხევედრია ხელში, როგორც თვითან ამოწმებს შემდეგი სიტყვებით: „ავმანდაძის გუჯარში წერიაო, რომ დავით აღმაშენებელი გელათის გალავნიდან გადავირდო“. ეს გუჯარი ჩემს აზრით ძვირფასი არხეოროგიური საუნჯეა მეთუთხმეტე საუკუნისა. იგი არის ეტრატზე დაწერილი და განახლებულია საქართველოს მეფის ბაგრატ მეექვსის მიერ დავით აღმაშენებლის ძველი გუჯარიდან. რადგან ეს გუჯარი ჩემ მიერ შეწირულია „წერა-კითხვის“ საზოგადოების წიგნთ-საკაცეში, ამისთვის უმორჩილესად ვთხოვ ბ-ნ თ. ჟორდანიას გაცნობას, სად არის ამ ქამად ეს ავმანდაძის გუჯარი? „წერა-კითხვის“ გამგებმა კი უნდა მოითხოვოს იგი, რადგან „წერა-კითხვის“ საზოგადოების ეპიგრაფის ვალდებულება ყოველ ნაირი ზომა იხმაროს ამ გუჯარის ამოსაცებად, როგორც თავის საკუთრებისა.

\*) ვთხოვ მკითხველს ამ პოლემიკის კითხვის დროს, წაიკითოს ჩემი ისტორიული „კვლევის“ № 30, 31, 1893 წ.



### ჭრელი ფიქრები



ელა-მიწის ზურგზე ადამიანზე უსამართლო და გაუტანელი ცხოველი არ მოიპოვება. თვით მძვინვარე მხეცაც კი მოსვენებულია, როცა კუჭი არ აწუხებს და კაცი კი გინდ მშვიერი იყოს, გინდ მაძღარი, სულ ერთია, არ დაცხრება!.. მაინც კიდევ ბევრი რამ აწუხებს და მეტს ძეხს. მისი უსამართლობა იქიდანაა ჩანს, რომ უკეთესი ცხოველი, ვირი და ძაღლი, იორივე ამოუჩემებია და მათი სახელი საღანძღვე სიტყვად გაუხდია: თუ ვინ-მე სულელად მიაჩნია, „ვირის“ ეძახის და თუ გაუტანელად „ძაღლს!“ ცხადია, ეს გამოაურკვეველის შუროთ მოსდის ადამიანს და თავის ნაკლს სხვებს აწერს.—ძაღლს რომ ერთხელ მოეფერო, პური აჭამო, თავის დღეში აღარ დაგიფიწყებს და თუ სიყვარულიც შეგატყუა, შენთვის თავს დადებს. რამდენი მაგალითი ყოფილა, რომ ერთგული ძაღლი პატრონის საფლაოზე დაკვდომოდეს!.. აბა, ახლა კაცი აიყვანეთ, წლის განმავლობაში, სამას-სამოც-და-ოთხს დღეს ასეთი, აჭამეთ, აპატყეთ და ერთს დღეს კი რულა აჭმევთ—წულა შეუშვებთ სახლში, თუ ამაგი არ დაგიფიწყოსთ და მტრად არ გადაგკეცოსთ!.. ეს ყველასთვის ცხადია და მართალი, მაგრამ ტყუილად კი არ არის ნათქვამი: „შენი მითხარი და გული მომიკალიო!“ მაინც გაუტანელს და ორგულს ეძახიან ძაღლს—ამავე ბედის არის ვირიც?—ვირი განა ყოველ ცხოველზე უსუფლელესია? სრულიადც არა!.. ბევრჯერ კაცზედა უჭკუერესი და წინ დახედულია ერთხელ რომ ტალახში ჩაჯარდეს, მეორეთ იმ გზით აღარ გაივლის და კაცი კი ერთსა და იმავე შეცდომაში ასჯერ ვარდება.—ვირის სისულელის სახელი მხოლოდ მიტომ დავარდნია, რომ უწყინარი და ადამიანის მოარჩილი მოსამსახურეა; ყველას ზურგზე ისევამს და მათ ნებაზე დადის.

განა ჯორი უფრო ჭკვიანია ვირზე? აბა, ერთი ვირმაც ჯორივით იკინტოს და შეჰყაროს წიხლები, თუ მისი ხათრიც არ იქონიონ და იმასაც ჭკვიანი არ დაუძახიან!.. დიღ, ქვეყანას შეიღობის მოყვარეობა და გულ-კეთილობა ხშირად სისულელე ჭკვინია და უგულობა და ბოროტება კი ჭკუის ნაყოფად მიაჩნია!.. დახეთ ქვეყნის უსამართლობას!.. ადვოკატობა რომ შემძღოს, ამ საცოდავ პირობებებს გამოვესარჩლებოდი და პირ იქით ქვეყანას ვაგამტყუნებდი: დაუმტკიცებდი მის უმეტესობას, რომ იმას ხასიათით ძაღლიც ჯობია და ვირიც!.. მაგრამ მე ხომ ადვოკატი არა ვარ და ნამდვილი ადვოკატე-

ბი კი მგლებს და მელებს უნდებოან!—სხვებისთვის არა ცალიათ! ამ საბრალო ცხოველებს კი ერთხელე გატყნით უსამართლოდ სახელი და დღესაც ისევ ისე ჩივებია!.. ისე ვერაყის გაღანძღვენ, რომ ძაღლი არ ასენონ!.. ისე ვერაყის დაჰკინებენ, რომ ვირი არ წამოაყენონ!.. მწერლობაც რომ ფეხის ხმას აყოლია?.. ვინ იცის, რას არ ამზობენ საბრალო ვირზე?.. ასე ვაშინჯეთ, იმასაც კი ვაშინებან, რომ ვირს მამლის ყვილი უფრო მოწონს ბულბულის გალობაზეო!.. აი, ცოლის წამება თუ გინდათ, ესარის. თუ მამალი ჰყვიის, ვირი მაინც ერთსა და იმავე გუნებაზეა, ერთსა და იმავე ხასიათზე: ანატურებს ყურებს და აქიციანებს კულს!.. და მამ ვინაა რითი და როგორ შეიტყუა მისი გულის პასუხი? უეჭველია, რომ ერთმა ვინმემ წარმოიდგინა თავის თავად, ვირის მაგიერად, სისულელე და ის ერთის სისულელე მერე სხვებსაც სენივით გადაეცა! —ამეკარი მაგალითი ქვეყანაზე ხშირია!..

გერმანიელები ხომ დარბასიელი და სიპართლის მოყვარე არიან, მაგრამ მაინც ისინიც კი არ ასეენებენ ხოლომე საცოდავ ვირს, წამოჰკერენ ხოლომე ხელს და საიგავ-არაკოდ ხდიან. თუმცა სულელად კი არ მიაჩნიათ, როგორცა ჩანს. ერთი ამეკარი არაკთავანი „ივერიის“ № 137-შიაც იყო დაბეჭდილი. აი, მისი შინაარსი: ვირს თურმე ბულბულის ჯავრი ჭირებვია, შურის ძიება ნდომებია, მისულა გუგულთან და მოულაპარაკნია. გინდა თუარა, შენ ბულბული გამოითხოვე გალობაში, მე მოსამართლეთ ამირჩიე და პირველ მაგლობლად შენ ავირჩევო. გუგულს აუსრულებია მისი ჩრევა: გამოუთხოვია ბულბული და ისიც გაბრიყვებულა, დათანხმებია... რასაკვირველია შევნიერად უგალობნია ბულბულს და გუგულს კი ასჯერ ხრინწინი ხმით უთქვამს ზედოზედ „უფალაო შემეწყალე“, მეტი ვერა მოუხერხებია რა. ვირსაც თავის დაპირება შეუსრულებია და პირველობა გუგულისთვის მოუნიჭებია... ამ იგავიდან აი, რა გამოდის: ბულბული სულელი ყოფილა, რომ გაბრიყვდა, გუგული—გაიძვრა, რომ წინდაწინემ მოელაპარაკა მსაჯულ-ვირის და ვირი კი ჭკვიანი, როგორც სხვების გამბრიყვებელი და შურის აღმუბი?.. ერთი წუნი იმ ვირის ის არის, რომ ქართული არ ჰკოდნია; მის ნაკლად, რომ გუგულს უთხრას, პირველ მაგლობლად „აღვიარებო“, ის ჩიქორთულად ეუბნება „გაღვიარებო“.



გ. გ. ჩაუჩავალები

დედა და შვილი

### ბასუსი ვრ. ყიფშიძის

უაზრო სული უბატრონი სახლსა ჰვავს,  
რომელიც ყოველთვის ინტრევა.

(„ივერია“ № 10)



სხლა ჩვენ შეგვიძლია პირველ წერილში გამოთქმული აზრი უფრო და გარკვევით წარმოვთქვათ. „ივერიის“ რედაქციას დიდად მიუძღვის დიდი და მიუტყვევებელი დანაშაული ეგ. ნინოშვილის წინაშე: 1, ნინოშვილს არ აძლევდნენ დროზე „ივერიის“ რედაქციიდან სასყიდელს, როცა ამის საშუალება ჰქონდათ, იმიტომ, რომ მან ვერ იკადრა მოეთხოვა სხვაგვარი უტიფრად თავის ნიჭის ნაწარმოებისთვის მეცა რედი სასყიდელი, ან კანტაქტი შეეკრა რედაქციასთან, როგორც ჩაიდინა ეს ერთმა მწერალმა წარსულის წლის დასაწყისში; 2, რედაქციამ მისცა ნინოშვილს მხოლოდ სამი ნაწარმოების სასყიდელი და ოთხისა კი შეიჩინა, მაშინ, როცა 1892—93 წლის ზამთარში საშუალება ჰქონდა რედაქციას ვაზეთის წმინდა მოგებიდან მეცა მატრიალურად შეეწირებულ მწერლისთვის ყველა მისი ნაწარმოების ფასი და მით მიეცმოდა ეგ. ნინოშვილის შეძლება — რიგანად ეცხოვრა, შეენახა სიმართლე ზეჯანი უფრო ნაყოფიანი მოღვაწეობისთვის; 3, ალაგის, სამსახურის შოვნაში დახმარების წილ რედაქციამ ყოველ ზნეობის პრინციპის გარეშე მოატყუა დაჩაგრული მწერალი და სოფელში გაისტუმრა დაპირებით, ოგ-ოგ მანქანს გამოეგზავნით ყოველ თვე და არც კი გაუგზავნია მთელი ზაფხულის განმავლობაში ერთი თუმის მეტი, რომელიც უკანვე დაუბრუნდა რედაქციას; 4, გასული წლის შემოდგომას „ივერიის“ რედაქციამ ერთ თვეზე მეტი არბუნა შეაბედლანი და ძალზე მეტად იმ ხანობს დაუძღვრებული მწერალი და მანადის არ დაუბრუნა მას მისი ხელ-ნაწერი მოთხრობა — ჩვენნი ქვეყნის ჩაინდი, სანამ ოთხი ამხანაგები თავდებად არ წარუდგინა, რომ რედაქციას დაუბრუნდებოდა მოთხრობის ფული — მან მანეთი, რომელიც ეგნატეს წინდაწინ აღებული ჰქონდა: ასე მოექცა „ივერიის“ რედაქცია იმ ახალგაზდა მწერალს, რომელმაც თავისი შეიდი თხზულებით სახელი შეიძინა ვაზეთს, მკითხველები გამარავლა, შემოსავლი შემატა და თვითონ კი სამი ნაწარმოების სასყიდელი მიიღო, ისიც მოწყალეობასავეთ დამადლებით და წერილ-წერილად, და არა ერთად, როგორც ესაჭიროებოდა მას; „ივერიის“ რედაქციამ შეურაცხყოფა მიაყენა სიკვდილის შემდეგაც სიკაცის დროს დატანჯულის, მაგრამ გვირუდად მხნე სულით და გულით უკანას-

კნელ სისხლის წვეთის გამოშრობამდე ფხიზელ-აზრანასა და ზნეობა-ამაღლებულს მწერალს იმითაც, რომ გვირგვინებით შეამკო მისი კუბო, საცა მხოლოდ ლეში იყო დარჩენილი და არა სული ენატესი, რომელიც მხოლოდ ჰუმანიტ სწორ-ამხანაგ-მეგობრებს შორის ტრიალებს!..

7, ეგ. ნინოშვილის მხეგავსადე ერთს ახალგაზდა მწერალს „სახლარ-გარეთელს“, დღესაც არ მიუღია „ივერიის“ რედაქციასგან, 25 მანეთს ვარდა, თუმც დაპირდა რედაქცია თვით 2-ნ გრ. ყიფშიძის პირით: — თქვენ ოღონდაც ყოველ კვირა თითო საფელეტონო წერილი გამოგვეგზავნეთ უტხოვითიდან და ჩვენ ყოველთვის დროზე მოგაწვდნით თქვენის ნაწერების სასყიდელსო... ამ ახალ ფაქტს „ივერიის“ ზნეობის საზომების დამხატველს, დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც ქონ და ე. ნინოშვილის შესახებ, ზემოთ ჩამოთვლილთ, რადგან ახალგაზდა მწერალს უტხოვითში, სხვათა შორის, უფრო სალიტერატურო შრომით უნდოდა თავი ეჩინა. „ივერიის“ რედაქციის იმემ, დით ექამდე მიადწია „სახლარ-გარეთელს“ საქმემ, რომ უკანასკნელ დრომდე ვერ ვაღუხუნია ვერც ბინისა და ვერც თავის საზრდოს ფასი. ჩამდენისამე თვეების განმავლობაში, რომ არ მიშველებოდა სწორ-ამხანაგ-მეგობრები — საშინელ მდგომარეობაში შეიქნებოდა ნორჩი და დიდად საიმედო მწერალი უცხოთა შორის...

ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტების სინამდვილეს დამტკიცება, გარეშე ზემოთ მოყვანილ საბუთებისა, ყოველთვის შეგვიძლია ჩვენ ცოცხალ მოწამების ჩვენებით და წერილობითის საბუთების გამოქვეყნებით, რომელიც უფრო ნათლად გამოაჩენს „ივერიელთა“ ზნეობრივ-გონებრივ გათახსირებას...

ხოლო რაც შეეხება „ივერიის“ რედაქციის გამგედ ნამყოფის საპასუხო წერილის უმწაწურსა და ყოველ-გვარ სალიტერატურო ზრდილობას-მოკლებულ ხასიათს — ეს ხომ შესაფერია ავტორისა და იმ კრებულისა, რომლის ღიძელ-შვილად და დაბალ ინტერესების დამცველად — მაგრამ ძლიერ უხვირო დამცველად! — ის გამოდის:

მათ არ ეთაკილებათ არავითარი საშუალება, ოღონდაც ბრბოს თვალი აუხვიონ და არ დაჯიკონ მის წინ ფასი, ესე იგი, უკეთ რო ეთქვით, ლუკმს, დიდი ლუკმს პუწი ჩუქნი აჩსუისის, როგორ და რა საშუალებითაც იყოს ის მოპოებული... მაგრამ კიდევ განვიმოკრებთ, ჟამი დაჰკრავს, თუ კი ჯერ კიდევ არ დაჰკრა, — და ასე უჯგოზთ სიარული, ფარვაშობა თითქმის უძალო სოფელში — ძველებურად მამა-პაპურად — გაუქირდნობთ ჩვენს დევ-გმირებს: ეს საკმაოდ იწინეს წარსულის წლის ორმა დევ-გმირმა



„მეველე-პლენსმა“ მარად სახსოვარეგნატესაგან ვაზ.  
„კელში“ დაბეჭდილ კრიტიკულ-პუბლიცისტურ  
წერილებში...

ბოლოს არ შეგვიძლია, არ დავევალოთ წინან-  
დელისა და აწინდელ ჩვენის სტატიების დამბეჭდველს  
„კელის“ რედაქციას—გამოაცხადოს ამ წერილის  
დაბეჭდვასთანავე სხოლიოში, რომ ჩემს პირველ  
სტატიას ხელნაწერში სრულიად ეწერა ქვეშ სახე-  
ლი და გვარი—და წარმოადგინეთ ადრესიც—მხო-  
ლოდ სახლის ნომერი კიარა, ქალაქი, საცა მაშინ ვი-  
მყოფებოდი—და ფსევდონიმი „ამხანაგი“ თვითონ  
რედაქციას ეკუთვნის თავის მოსაზრებით და არა ჩე-  
მით მოწერილი \*)... „ივერიის“ რედაქციამ მოთხოვა  
„კელის“ რედაქციას გამოუცხადოს სახელი, გვარი  
და ადრესი (სი!). ექვი არაა, დამკაყოფილებული  
იქნება „კელის“ რედაქციის მიერ პირველ ორის

შესახებ მაინც; ხოლო რაც შეეხება მესამე ჩემს ად-  
რესს „ივერიის“ რედაქციის სავალალოდ, მეც არ  
ვიცი ჯერ-ჯერობით, რადგან საფილოქსერო პარ-  
ტიაში ვიმყოფები. როცა ზამთარში ჩამოვალ, მა-  
შინ მოვახსენებთ იმასაც, სად იქნება ჩემი ბინა.  
დღეს მე ვცხოვრებ სხვა-და სხვა ალაგას—ჯერ-ჯე-  
რობით შავსა და კასპიის ზღვებ შუა—და ვცდი-  
ლობა ყოველთვის ჩემი შრომით და მეცადინეობით  
ვიცხოვრო და სანამ ცოცხალი ვარ, ისე არ დეე-  
ცემი სულით, რომ მომერიდოს ან „შემეშინდეს ვი-  
სივე და ან რისამე, რა უკუღმართს უკუღმართი  
არ ეუწოდო, რათაც უნდა დამიჯდეს ასეთი ხასიათის  
სიკვრბე...

1894 წ. 8 თვისი

მისა ცხავია

ს ი ზ მ ა რ ი

I

**მ**ესიზმრა, ვითამ უძირო  
ზღვა აედა ბობოქარობდა,  
იმის ზვირთების ღრიალი  
ცის დაქვევას სდარობდა;  
დღეი ებრძოდა კეთილ სულს,  
წყლის მთას ღაბჭადა ხმარობდა.  
შიგ ჩემი ნაღი უნიჩობდა  
მსუბუქად დაქარქარობდა.  
გაბმით ისმოდა საზარი  
ღრენა ზღვით მუღობი ქარისა,  
ყურს ჭრიდა ცემა ელვისა,  
გრიგალის ტენა-ზარისა,  
ეღარ ატანდა ღრუბლებსა  
სხივი პირბადრი მთეარისა.  
ეაი შენაცა მიმნდობო  
ზღვაზედ უნიჩბო ნავისა!  
დაბნელდა, როგორც სიცილილო,  
ოცნებით გამოსახული,  
ურწმუნოთავან საზარლად  
სიცილილსა შემდეგ ნახული.  
როგორც არსება კაცისა  
უკვლოდ ამ სოფლით წასული,  
როგორც გამცემი ქვეყნისა,  
მისა ხსენება ჭ სული!

II

ნავი წამართვა გრიგალმა,  
გამოიტაცა მხრიანმა,

შიგ შეიზიდა მორგემა,  
შესუსტა იმის ტრიალმა;  
ჩასაყლაპავად მოჰმართა  
ვეშაპის პირმა ღიამა;  
სიკოცხლე, ბეწვზე მიმბული,  
ბედს-ლა მიანდო ჭკვიანმა.  
ნეტავი ნათელს მაინცა  
გამოეგზავნა შიკრიკი,  
სიცილილის წამში კიდევ  
მენანა იმის ქიკვიკი,  
იქნება დამხმარებოდა,  
ცინენა დახნის ბილიკი.  
ლეში გაივს თევზებმა,  
ჩემს ირგელივ იწყეს ლიკლკი.  
წამი მოეტაკე სიცილსა,  
თვალეღი დამჩა ზღვაზედა,  
თვალთ დამიბნელდა, დედღმდო,  
ზარი დამცეა თევზედა.  
ათი ათასი უმწეო  
ზღვას გაქირებმით არღვედა,  
ჩემსკენ ცუხრადენ საწყლები,  
თვლილ ეჭირათ ნავზედა.

ზღვასთან უღონო ბრძოლაში  
უთელელი იხოცებოდა,  
ეინც დამრჩევალიყო, ცოცხალი,  
ტიროდა, იხოკებოდა;  
მაგრამ გრიგალის გრიალში  
მათ კენესა იკარებოდა,  
ქაჯი გვხვდავდა, წყუელი  
ჩენი ტანჯვითა ტკებოდა.

\* ) ქ მოსახელებული ამაგი სრულებით მართალია.  
რედაქტ.

თან უმატებდა გრივლი,  
 ნისლიც წებობდა შავათა  
 მიდმოდიოდა მორვეი,  
 ჯურღმული ჰქონდა დართა,  
 ხსნა არსით იყო, იმედი  
 მარტო გერჩებდა ფართა:

III

საწყლები! რაგვარ იმედით  
 შემოაკეროდენ ჩემს ნავსა!  
 მცრეენოდა, გაჭირვებული  
 მხსნელად მსახედა ჩემს თავსა;  
 მე კი ვერ ვშველდი, ცრემლითა  
 მალალს შეეთხოვდი დახსნასა.  
 ღმერთო, უშველე საწყალსა,  
 ღმერთო, დახსენი ამ წყალსა,  
 ღმერთო, შეასწარ კიდევ  
 თვალით ხმელეთის ნახვასა.  
 ღმერთო, იუღის ხელიდან,  
 შემასწარ ამათ დახსნასა.  
 მაგრამ ღმერთამდე, გეთაყვა,  
 ე-ნ მიუშვებდა ჩემს ხმასა!

IV

კენესა დავართო კენესას,  
 ვაება გულის გამგმირი,

გულს-ტანჯვის მოპასუხესა  
 ცეცხლად მოედვა სახმილი.  
 ჩვენთვის არ იყო დამხმარე,  
 არც ქვეყნის მხსნელი, არც გმირი!  
 სულ ერთფერები ვიყვენით,  
 მკედარი მკედარს ავეკიდენით,  
 იქით ზე აქით სიკვდილი,  
 შუა ჩვენ ჩავეკიდენით  
 დანთქმა, დაღუპვის ლოდინი,  
 არსად დამხსნელნი კიდენი!  
 რაკი სხვა ღონე არ იყო,  
 ვეღარა მოხერხებოდა,  
 ყველას დაფუწყე ძაბილი,  
 ეისაც ხმა მიუწებოდა,  
 ვინცედი ჩემთან ნაეშია  
 ჩამდენსაც მოგვეჩეოდა.  
 ხელებს ვუსვამდით, ზღვის პირას  
 ვარღვევდით, დახივდა,  
 ევბრძვით ზღვას, მკლავი მაგარი  
 მისთვის არ დავეჩურჩია,  
 ხელი არ დავეკრუფთა,  
 ვით მოშაბათე ურია.  
 ვიბრძვით ზე ვიბრძვით ბოლომდე,  
 ეისაც სიცოცხლე გვეჭურია.

თ. რაზგაშვილი

სხოველთა სხოვერება ზღვა-ოკეანეთა უფსკრულში



ღვა-ოკეანეთა უფსკრულში თევზები ერთი  
 ამითი არიან საინტერესონი, რომ ზოგიერ-  
 იებს თვალები არა აქვთ და ეს ბრმა თევ-  
 ზები ისევე ცხოვრობენ როგორც თვალხილულნი.  
 ეს არც გასაკვირი. აბა, რათ უნდა იქ თვალები სა-  
 დაც სრული წყელიად \*და უკუნი მეთობს, მაგრამ  
 გასაოკარი ის არის, რომ ერთსა და იმავე დროს,  
 აქვე, ამ საწინელ სიბრველში, იმისთანა თევზებიც  
 ცხოვრობენ, რომელთაც ეცემათელთა თვალები აქვთ  
 დაბრიალებული. ახლა ერთი იკითხო კაცმა, რა სა-  
 ჭირო იყო, რომ ბუნება ამ თევზები ამოდენა თვა-  
 ლებით შეაიარაღა? ამის პასუხს ისევე ბუნება მო-  
 გვეცმს. — თურმე, აი, რისთვის ყოფილა საჭირო ამ  
 თევზებისთვის დიდრონი თვალები. ტანზე ერთნაირი  
 ხორკლები აყრიათ და ეს ხორკლები ისე აშუქებენ,  
 როგორც სიციანთელები ზაფხულის ზნელ ღამეში.  
 რაღა თქმა უნდა ამ შუქს დიდი მანძილი არ ექნე-  
 ბა და ამიტომ ჰიბრდება თევზს დიდი თვალები, რომ  
 იმ საწინელ წყელიდამში თავის საკბილო დაინახოს  
 რამე და გადაყლაპოს.

მაგრამ, დალოკილ ბუნებას მეტად სხვა-და-  
 სხვაობა უყვარს. მეტეორებმა ამავე თევზებთან ერ-

თი იმისთანა უცნაური თევზიც აღმოაჩინეს, რომე-  
 ლიც სრულბრმა ბრმა იყო და ზღვ შუბლზე კი  
 შუქ მომფენი ფარანი ჰქონდა მოწყობილი, ისე რო-  
 გორც კანკაზა, ან რკინის გზაზე ლოკომოტივს  
 აქვს ხოლმე. ამ მეთად უცნაურ თევზს ფანარ ზემო-  
 დან შუბლზე ბაწრის სისხო გცელი უღვაში აქვს  
 გამოსული. ეს უღვაში ძლიერ მგრძნობიარეა და  
 ისე ეხმარება თევზს, როგორც ბრმა კაცს ჯოხი.  
 საინტერესოა ამ ბრმა თევზის ნაღარობა. თვალთ-  
 ხილული თევზები გამოეკანებიან ხოლმე მის ფარ-  
 ნის შუქისკენ და უცხამდით დაეტაკებიან თუ არა  
 მს მგრძნობიარე უღვაშს, ბრმა თევზი მაშინვე გა-  
 ეკანება წინ და მის გაღებულ ყბას ძნელად-და გა-  
 დაურჩება რომელიმე თევზი.

აი, აღწერი ფაქტი მგონი საკმაო არის იმის  
 დასამტკიცებლად, რომ ზღვა-ოკეანეთა უფსკრულის  
 საშინელი წყელიადი ცხოველებს არას უშლის და ამ  
 სიბრველშიაც სიცოცხლე დუღს და გადმოიღის.

ბუნებისაგან დაწესებული საიდუმლო კანონები  
 ყველგან და ყველაფერში ეხმარებიან ბუნებისათ-  
 ქნილებსა.

ი. ალბაზიშვილი

(შემდეგი აქნება)

## ყ ა ჩ ა ლ ი

(მოხრობა)

## XII.



ასაეღეთით ს. ტყემალეთს ერთი უზარმაზარი კლდე აქრავს; კლდეს ვალმა ტყით შემოსილი სვრია და შუაზე პატარა მთის მდინარე ჩაუქუხს. ეს ადგილი ნაძრახ-ადგილით ითვლებოდა მთელ სოფელში, ადამიანიც იშვიათად დადიოდა იქითკენ. თუმცა ილიკოს პატარაობაში ბევრი რამ გავიანა ამ კლდეებზე, მათში მყოფ წმინდანებზე, ეშმაკებზე, ჭინკებზე და კუდიანებზე (მაენე პირზე), მაგრამ ახლა მას სრულიად არ აფიქრებდა მეფენ სულელები. როცა ამ ტყეში მისცა მან თვით, მტრედის ფრად ინათლა. ილიკო ერთ რუს ნაპირას ჩამოჯდა და დაფიქრდა. უცებ ფენის ხმა შემოესმა. აღელმებული მარდათ ზეზე წამოეყარა და თოფს ხელი ჩააუღო.

— ეინ ხარ შენ? მტერი ხარ თუ მოყვარე? მიამაბა ილიკომ.

— შენ თითონ ვინა ხარ? უპასუხა უცნობმა.

— გავეცი ხმა, თვარა, ეს-ეს არის, გესროლე თოფი.

ამ დროს უცნობი გამოჩნდა და დიდხანს და აშტრდნ ერთმანეთს. იმათ ერთი შეხედვით იცნეს ერთმანეთი. ორნივე ბედისაგან ღვენილნი იყვნ.

— შენ ხარ ილიკო გარდახეწილამე? ჰკითხა უცნობმა.

— დია! იყო პასუხი.

— ჩვენ დიდის მოწინებით მოგვლოდით. გავიგეთ შენი გაქცობა. შენი სატუსალოდან გამოქცევა და მამასახლისის სიკვდილი.

— შენ ვინა ხარ, მითხარი, თუ კაცი ხარ? ჰკითხა კლდე ილიკომ.

— მე გოგილა მელოვა ვარ, გავარდნილი ყაჩაღი. ჩვენი სამეფო, აი, ის უღაბური ტყეია. მე აქაწეი შენ სანახავათ გამომგზავნეს, ეგებ შეხედე სადმეო. იქინეი კიდე ბაჩე ხუთამდის ეიქნებით. შენი გეთხრეს კი ყოჩაღი ბიჭიაო და გვინდა დაგიმგობრდეთ, უთხრა მელოვამ.

— მე დიდი მოხარული ვარ თქვენი გაცნობისა, მაგრამ ასე რაფა გენდა, შე კაცო! ეგებამ მლაღატობ, ეგებამ პრისტავის შემოაჩენილი ხარ, უთხრა ილიკომ.

— თუ გვალატობ და, აბა, ჩემი იარაღი, მე წინ წაუაღ, გზას გიჩვენებ და შენ გამოამყევი, თქვა ეს გოგილამ და უიარაღოთ წავიდა წინ.

დიდხანს იარეს მუნჯათ დახლართული გზებით, რომ ადამიანს არ მოეკრა თვალი ან მუსაფი თ არ გავეგნათ მათი,

გოგიელა მელოვამ ილიკო მიიყვანა ბინაზე ისეთ დროს, როდესაც ავაზაკები ახალი დაბრუნებულნი იყვნენ საშოერიდან და ნაშოვარ სიმდიდრეს იყოფდნენ. ილიკოს დანახვებზე ყველანი წამოცინდნენ, მხიარულიად მიიღეს ახალი მეგობარი. ილიკო ჯერ უცნობ იყო ამითთან, მაგრამ რაც უფრო უახლოვდებოდა მათ და ტყობილობდა მათ გავაფანტების მიზეზებს, მით უფრო რწმუნდებოდა ჩვენი საზოგადოების სიმუხტელეში, გაუტანელობაში, სინიღისის სინდაბლემში და ზნეობითი დაქვეითებაში.

— რეიზა გავარდნილხარ შენ მინც ყაჩაღთ? ჰკითხა ილიკომ ერთს ყველაზე უფრო კარგ მოყვანილ ვაჟკაცს ყაჩას.

— რეიზა? რეიზა და მე თვითონ არ ვიცი, ძმაო?

— ში კაცო, რაფა არ იცი?

— რეიზა და წმინდა გიორგიმ დაიწყველოს ჩვენი გარენა და დაბადება! კაცო მთელი სოფელი გამოფიტულია სულიდან ზორცამდის, აღარაფერი გავარდნიან: ეინ ადგილს ჰყიდის, ეინ მამულს, ეინ სახლს, ეინ კარს, რა არის გაეისტუმროთ ბატონი, ხელმწიფე, მღვდელი, უჩიტელი, მწერალი, მამასახლისი, ვაჰარი, ჭირი და ლხინიაო. ხალხი გავლარობდით. მიწამ მოსავალი აკლო, კუჭმა კი იმატა მად და ეინ იცის, ეინ რას ჩადის და ეინ რას!

ერთ დღეს ჩვენში ხმა გავარდა პეტრიეი დიდ-მუცელაშვილს წუხელის ქურდები დაცემიანო. ოჯახის პატრონი მოუკლათ, ცოლშვილი სასიკვდილოთ დაუჭრიათ და ფულად ორას თუმანამდე წაუღიათო. ამ საზოგადოება აშბაემა მთელი ჩვენი სოფელი შეაძრწუნა. თუმც მთელს სოფელს არ უყვარდა პეტრიეი, მაგრამ დღევანდელმა აშბაემა მინც ყველა ჩააფიქრა:

„ღმერთმანი არ იცის, რა ჰქნას კაცმა! გაქვს რამე, ის გაწუხებს, არ გაქვს, ის უფრო შესაწუხებელიაო“, ამბობდნენ მდიდრები.

თუმცა ის მთელი სოფლის სისხლის მწოველი წურბელი იყო, თუმცა მანეთს ისე არ გაასხსნებდა, რომ ორი აბაზი საჩუბელი არ გამოეერთინა და ერთი დღეც კვირაში უსათუოდ უნდა მიხმარებოდი, უცვიტანციოთ ფულის მიღებაზე უარსაც იკადრებდა და ხშირად ნუსტროკიან ქალაქების ვადაზე განგებ დიამალებოდა, რა არის ვადას ვადაე-შორო და ნუსტროკო ვადავხდევინოო, მაგრამ საცოდავი მინც მებრალემა! ერთი შეხედვით, რა ფრად ჩაუღწეოთ კბილები? როგორ ვაღმაოყრევიენიბათ წელები და გულ ღვიდლიო? — ამბობდა პეტრეს სიკვდილზე ყოველი მისი მნახელი გლეხი.



ამ გვარ საზიზღარ ამბავს შემდეგ, შენ იფიქრე, სოფელს რა დღე დაადგებოდა, ჩემო ილიკო! პრისიტაეი, ზეკუტია, მანანიკა მამასახლისი სულ ჩვენ სოფელში იყვნენ და ანადგურებდნენ, რა არის მოგვიცით ავახსენებ, გვიჩვენეთ, გვიჩვენეთ თქვენი მეზობლები, თქვენი მოძმეები გავარდნილი ყაჩაღები. დღეს უარი, ხეალ კიდევ უარია; არ შეგვიძლია მათი დაჭერა, გვეშინია, სულ ამოგვეწყვეტენ-მეთქი, მაგრამ ვინ დავეიჯერა!? დაგვიტყვი რაი ძმა (ამდროს იქ მდგომ ერთ ყაჩაღზე მიუთითა) და თქვენ მოწონებულათ გავეშვალტეს. გაროხვამ, სასტიკმა ტყვიელმა თქვენი ქირა წიღოს, მარა ამას შემდეგ ვისლა შეეძლო ხალხში, საზოგადოებაში, თავის გამოყოფა? ეს რომ მაღულად ყოფილიყო, კიდევ, ჰო, თერა მთელი ჩვენი მეზობლები ფეხზე იდგან და გვეყურებდნენ. რალა უნდა დაგვრჩენოდა, ჩემო ძმაო. მივატოვეთ ოჯახი, მოხუცებული მამა და თოფით მხარზე გადებული გამოუღვეით გზას. ეაქკატურად მოგვედებით, ტყე-ტყე ეინებოლებით და ჩვენს თემში შუბლგამტყდარი სიარული კი არ შეგვიძლია. ეს არის ჩემი დანაშაული.

ახლა ვინ მაქცემს რასმე, თუ ჩემი მარჯვენი არაა?!

ვინ მომცემს რასმე თავის ნებით, თუ არ დავეცი, არ წავართვი, არ გავგლიჯე და არ ვირაზმონიკე?!

ილიკო ამდროს სულ სმენათ იყო გადატყუელი, ბეგრი თავის ცხოვრების სიმწარეც ენიშნა მის ნალაპარაკეში.

ამ დროს ფეხის ხმა მოისმა, ყაჩაღები სწრაფად ზეზე წამოციენდნენ და „ვინ ხარო“ მიახახეს, მოეარდა გულ-ამომჯდარი აქლოშინებული გლეხი და ამბავი მოიტანა: „წუთების ილიკო გარდახვეწილადეს ტყე-მალეთის მამასახლისი მოუკლავს. მთელი სოფელი ფეხზე დგას. ივანე ბოქაული ოცი ყაზახით და სოფლის მოხელეებით მოდიან. თუ რამე შეგვიძლიათ, თავს უშველეთ.“

ილიკო მარადთ წამოდგა, თოფი მხარზე გაიდგა და ეაქკატურად შეძახა.

— აბა, ბიჭებო! ივანე ბოქაულის სისხლით გამძღვთ დღეს! მომყევით ყველანი. მტერს მკერდით შეეხდეთ. სულ ერთია. ჩვენი სიცოცხლე, რა სიცოცხლეა, მხეცივით ტყეში ეიმალებით. ან მოგვედეთ, ან სისხლი ამოვიგოთ. დღეს ივანე უნდა გამოეასალმო ამიერ წუთისოფელს, მერე მომკლან! არ დავეძებ.

— აბა, ბიჭებო! ადგეთ, მზარი მიეცი თილიკოს, კენესით წამოიძახა ერთმა ყაჩაღმა. მე, ძმებო, შეუძლოთ ვარ, მაგრამ მაინც თქვენთან უნდა მოგვედ-

იკადეთ, ახლავე გიცხადებთ, რომ თუ გატყვევებულარ შეეძლო, ერთ ტყეიას ჩემთვის ნუ დაიშურებთ, მომკალით, იქვე გამაკციეთ და ცოცხალს კი ნუ ხამავდებთ მაგენის ხელში.

— საშიშო კი არის დღეს პრისიტავთან ბრძოლა! ოცი ყაზახი რუსი თან ახლავსო, თქვა ერთმა მათგანმა.

— არა უშვავს რა! ღმერთი მოწყალეა! გაამხნევა ილიკომ.

ღამის თორმეტი საათი იქნებოდა. ს. ტყემა-ლეთის არე-მარე მიდუმებულ იყო. მხოლოდ ძაღლის ყეფა და ბაყაყების ყიყინი არღვედა ამ სიჩუმეს. ივანე ბოქაული გზის პირას ჩასაფრებულიყო და ყაზახი რუსები გარშემო შემოეკრა. გზა ისეთი ეიწრა იყო, რომ ორ-სამ კაცს არ შეეძლო ერთად გეგლა. გაბადრული მთვარე ზევიდან დაქათათებდა იმ არე-მარეს.

ილიკო ამ დროს იმ გლეხის სახლისკენ მიემხრებოდა, რომელმაც ეს ამბავი აცნობა, რადგან ბოქაულიც იქ ევანა. ფეხის ხმაზე ჩასაფრებულებმა უწერი ატყვიტეს, თოფი დაამზადეს და შეძახეს: „*ისუ там? останавись!*“—

— აი, სად ყოფილან ეს მყარლები?! აბა, ბიჭებო, უშველეთ თავს!—თქვა ილიკომ.

მაგრამ ილიკოს ხმის ამოღება და თოფების ტყეის ზუზუნეი ერთი იქნა.

ივანე ბოქაული სასტიკათ დაიჭრა. სამი თუ ოთხი ყაზახიც მოკლეს. რამდენიმე ყაჩაღებიც დარჩინეს ზოგი მკედარი და ზოგი ცოცხალი. მკედრებში ის ავადმყოფი ყაჩაღიც აღმოჩნდა. ვისმა ტყეებმა განგმირა მისი გული, ეს გამოაურკვეველი ღაღატა, თუმცა ბოქაულმა თავის სიეაყკაცს მიაწერა. ილიკო დაჭრეს, მაგრამ მაინც გეგარდა, დასხლტა მტერს ხელიდან.

მეორე დღეს მთელი სოფელი სულ ამბავს ღაპარაკობდა. ივანეს სიყოჩაღე მთელ არე-მარეს მოეფინა. ნაჩაღნიკმა ჯეგარზე წარადგინა, ივანეს აღტყმნა ხას საზღვარი არ ჰქონდა, რადგან მთავრობის წინაშე სახელ-განთქმული ბოქაული შეიქნა.

(შემდეგი იქნება).

რედაქტორ, გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა

# განხილვა

სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი

## „ი ბ ა ლ ი“

გამოვა 1894 წელს უოკელ გვირგვინი ერთსულ ერთიდან სამ თაბასამდის იმავე პირობებით რედაქცია ყოველ ღონისძიებას ხმარობს გაუფუჯობესს შინაარსი და სახე გავითისა. ამ განზრახვით მან დაიბარა პეტერბურლიდან მრავალი საუკეთესო ცინკზე და სპილენძზე მოჭრილი მხატვრობა. გავითი წლიურად ღირს: გაუფუჯნენელად შვიდი მან., ხოლო გავზენით რვა მან. ნახევარის წლისა გაუფუჯნენელად სამი მან. და ათი შუგრი, გავზენით 4 მან. სამი თვისა გაუფუჯნენელად 2 მან., გავზენით 3 მან. თითო ნომერი 20 კაპ.

### ხელის-მოწერა მიიღება

ტფილისში არწრუნისეულ ქარვასლის ქართულ სახალხო სამკითხველოში, „წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში“ და თვით ქალაქ გარეშე ხელის-მომწერთა შექმნილით მიმართან: „კვალის“ რედაქციას Тифлиς Редакция „Квали“, (Большая Водовозная, № 22, домг Айвазова.

ქაღაქ გარეთ: — ქუთაისში: სხვათა შორის ე. ბეჟანიშვილისა და ხეთერელის წიგნის მალაჩი-ბში. — სათქმში: მთე ნიკოლაძის ჟურნალ-გავითის სააგენტოში და იგანე სიმონისძე მესხთან — პაქოში: ესტატე ბორისისძე ამამუკელთან. — გორში: ზაქარია დაეიდოვთან. — უგრაფთან: თ. ხუსკივაძესთან, ფოთში: სოფრომ მგალობლიშვილთან. — სალსენაჟში და ოპერუკოში: კ. თავართქილაძესთან. — სასნურში: ყარამან ჩხეიძესთან. — თელავში: მ. ცისკარაშვილთან.

წლიურ „კვალის“ ხელის-მომწერლებს 1894 დაურიდებდათ საჩუქრად მხატვრობა „საქართველოს დიდება“ სამრეკლო და სასოფლო სკოლის მასწავლებლებს და სახალხო წიგნის საკითხავებს დაეთმობათ „კვალი“ 7 მ.

### განხილვა

პირველი შინაგანი სესხის ბილეთები წილის ყრით უთამაშნიათ და მოგებანი რეგებიან შემდეგ ბილეთებს:

#### დაფუჯვანი საზოგადოება

#### ი ბ ა ლ ი (ღუზა)

უმაღლესად დამტკიცებულია 1872 წელს, რომელ-საც ძირითადი თანხა 2,500,000 მანეთი აქვს, გარდა სულადის ფულისა, ამით აცხადებს, რომ მის მიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებული სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის როცა შრომა აღარ შეეძლებათ.

მიიღება ყოველნაირი მოძრაიესა და უძრაიეს ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან, აგრეთვე ზღვით-მდინარით და ხმელეთით წასალ-წამოსალგების საქონ-ლის დაზღვევა ცეცხლისაგან. წესები, პირობები წერილობითი და სიტყვიერი მოლაპარაკება განეზიარება მსურველს ტფილისის საზოგადოების გამგეობაში, რომელიც დადგენილია კეკელიძის მხარისათვის და იმყოფება ბარონის ქუჩაზე, კლოუბნელის სახლში, თუ არა თვით საზოგადოების აგენტის ალექსანდრე პეტრეს ძის ზაფრივისაგან, რომელიც დგას პეტროპოლისის ქუჩაზე № 2.

სეკან.	პილ.	მოგებ.	სეკან.	პილ.	მოგებ.
5357	44	20'000	11518	28	1000
42'8	1	75000	14307	36	1000
2460	20	4000	11472	7	1000
13380	39	25000	2599	14	1000
9344	47	10000	2134	8	1000
16220	28	10000	11538	11	1000
3903	12	10000	19851	5	1000
5999	4	8000	15848	3	1000
11314	25	8000	9772	38	1000
5784	34	8000	8716	11	1000
11012	21	8000	18594	48	1000
15369	10	8000	4986	3	1000
10786	14	5000	17801	5	1000
15564	5	5000	6087	25	1000
5856	30	5000	14846	39	1000
2185	21	5000	3432	18	1000
19137	17	5000	15010	37	1000
11814	27	5000	12887	13	1000
10648	12	5000	10653	17	1000
9368	31	5000	3067	5	1000

„კვალის“ რედაქცია უმორჩილესათ თხოვს, ვისაც ექნის თვით აქვს ვაგებით დაბარებული, პირველ იელისამდის აცხობოს მას მეორე ნახევარი წლის ხელის მოწერა.

# კუთხისის თავად-ახანუკრი სააღმკლ-გამულო განისი გავგეოგა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამ ბანკის წესდების მე-18 § ძლით ქვემოთ აღნიშნულს რიცხვებში, ბანკის გამგეობის სადგურში სასოგადო ვაჭრობით გავიდულ იქნებიან მსხვერპლის ბანკში დაკორეაგებულნი უძრავნი მამულნი ქვემო აღნიშნულთა ზირთა, შესახვედრ კარდასახადთა შემოუტანლობისა გამო.

გაეიდება მოსწობა მხოლოდ იმ მამულებისა, რომელთა შეპატრონენი, თანხმად ბანკის წესდების მე-19 §-ისა შეავსებენ ბანკის კარდასახადს და თან განცხადებთა ხარჯებს.

ვაჭრობა დიწვება ქვემო მოკვანილის თანეი ფულიდან ზედ დამატებით სსვა-და-სსვა შეუვსებელის კარდასახადისა, მამულის განსაყიდლათ დანიშნასზე ხარჯებისა და, სასოგადოდ; ეგულ იმ ფულისა, რომელიც ბანკს თავისის მოვალის სამაგეოროდ დაუხარჯავს; ბანკის სახურჭლივი ვალის თანის მოსწობა შეიძლება ამავე ბანკის გიროს ფურცლებით, რომელნიც მიიღებიან სასვადობრივის ფასისამებრ მანეთი მანეთად და აგრეთვე შეიძლება კანტონილ იქმენ შეიდეგლზე; სოლო ვადაზე კანდასახადი და სსვა გვარი ბანკის სასვედრო ფული უნდა შემოტანილ იქმენ ნაღდად.

ვისაც ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება სურთ, მათ შემუძლიათ კასახეიდელთ მამულთ აღწერილობის და საბუთების განხილვა ბანკის სამმართველოში.

თუ ეს ვაჭრობა არ შესდგა, მაშინ, ბანკის წესდების 24 § სეფუძველით, ინიშებ, მეორე და უახანსენელი ვაჭრობა, 31 აგვისტოს 1894 წელს.

## ჭრობა 9 აგვისტოს 1894 წელს.

18<sup>7</sup>/<sub>12</sub> და 19<sup>11</sup>/<sub>12</sub> წლიანნი სსხსნი.

### ქ ქუთხისს.

დასსველიისა მიხილ ერასტის ძის: ორპირის ქუჩაზე ორი ორ-სართულიანი ქეითკირის სახლი და მიწა 312 კვადრ. საყ. თანეი ვალი 1005 მან. 41 კაბ. შეს. გარ. 510 მან 54 კაბ., სულ 1515 მან. 95 კაბ.

მემკვიდრეთა საჩუქავის ელი-სახედ სიმონის ასულის: გეგუთის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქეითკირის დუქნები სარდაფით და მიწა 103<sup>1</sup>/<sub>2</sub> კვადრ. საყ. თანეი ვალი 288 მან. 37 კაბ., შეს. გარ. 312 მან. 47 კაბ., სულ 601 მან. 4 კაბ.

დასამიქთა: ნესტორ და სამონახილის ძეთა: სათავადო ქუჩაზე ორ-სართულიანი ქეითკირის დუქნი და მიწა 20 კვადრ. საყ. თანეი ვალი 402 მან. 10 კაბ. შეს. გარ. 300 მან 10 კაბ., სულ 702 მან. 20 კაბ.

ალაბეგოვათ, იოსებ, ალექსანდრე, ივანე ნეთის-ვარის ძეთა: ლევანოვის ქუჩის შესახვედრი ორ-სართულიანი სახლი და მიწა 1270 კვადრ. საყ. თანეი ვალი 254 მან. 87 კაბ., შეს. გარ. 88 მან. 3 კაბ., სულ 342 მან., 90 კაბ.

კოპანხიძის ალექსი სიმონის ძის: ბალახვიანის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 455 კვადრ. საყ. თანეი ვალი 106 მან. 34 კაბ. შეს. გარ. 54 მან. 63 კაბ., სულ 160 მან. 97 კაბ.

ზოგავასის ვასილ ოკროპირის ძის: ორპირის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 479 კვადრ. საყ. თანეი ვალი 127 მან. 30 კაბ. შეს. გარ. 74 მან. 74 კაბ., სულ 202 მან 4 კაბ.

ლორთქიფანიძის ნიკოლოზ გიორგის ძის: მცხეთის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 667 კვადრ. საყ. თანეი ვალი

449 მან. 82 კაბ. შეს. გარ. 184 მან. 91 კაბ., სულ 634 მან. 73 კაბ.

რუსისის ლევან გიორგის ძის: ორპირის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქეითკირის სახლი და მიწა 89 კვ. საყ. თანეი ვალი 150 მან. 23 კაბ. შეს. გარ. 67 მან. 8 კაბ., სულ 217 მან. 31 კაბ.

იოსელიანის მელანია დავითის ასულის: თბილისის ქუჩაზე ორ-სართულიანი სახლი და მიწა 440 კვად. საყ. თანეი ვალი 1832 მან. 55 კაბ. შეს. გარ. 286 მან. 41 კაბ., სულ 2118 მან. 96 კაბ.

რუსისის ვასილ ბუქუას ძის: ორპირის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქეითკირის დუქნები და მიწა 27<sup>1</sup>/<sub>2</sub> კვ. საყ. თანეი ვალი 515 მან. 36 კაბ. შეს. გარ. 141 მან. 67 კაბ., სულ 657 მან 3 კაბ.

ლორთქიფანიძის დავით არჩილის ძის: თბილისის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქეითკირის სახლი სა